ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ

განკარგულება:გ-49.49212117

თარიღი:30/07/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 48**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის მე-13 და მე–15 პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩას ეწოდოს ტრიფონ სულაკაძის სახელი (დანართი საკადასტრო რუკის სახით თან ერთვის).

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 30 ივლისის №48 განკარგულების

დანართი №1

## სიტუაციური ნახაზი




წითლად დაშტრიხულია ტრიფონ სულაკაძის სახელობის გზა.

| | |
|---|---|
| მისამართი: წყალტუბო სოფ. ქვედა მესხეთი | გზის სიგრძე: 1257.0 მ. |
| პირობითი აღნიშვნები:<br>გზის შუახაზი<br>გზის პოლიგონალური ფენა<br>მეზობელი ნაკვეთები<br>შენობა-ნაგებობები | საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი<br>შემსრულებელი:<br>დაინტერესებული პირი |
| | თარიღი: 20.06.2021 წ. მასშტაბი 1:3,500 |